



ალექსანდრე პუშკინი

გაღიას

შენ ჩემო ჭირისუფალო,
უძვირფასესო გაღია,
სულ ობლად ცხოვრობ ფიჭვნარში
და ჩემი ნახვა გწადია.

ზიხარ სარკმელთან, მდარაჯობ,
გული დარდისგან სივდება,
დრო და დრო დამჭკნარ თითებში
ჩხირები შეგაცვივდება.

გასცქერი გადავიწეებულ
ჭიშკარს და შავ გზას შორეულს,
გხედავ დარდისგან გულშეჭმულს
და თვალზე ცრემლებმორეულს.





ნაპონური პოეზია

ნამონო ოპერა

* * *

მაშ, მალე, ჩემო მეგობრებო, იამოტოსკენ,
სადაც ნაპირთან ფიჭვნარი გველის!
მაცუს ყურეში,
სად ოდესღაც მე მიცხოვრია,
იქ ალბათ ჩვენზე მოგონება შემორჩათ ძველი!

უცნოვი ავტორი

* * *

ო, რომ შემეძლოს შევაჩერო, ო, რომ შემეძლოს,
ვინც გადაწყვიტა ქვეყნად ჩემი მარტო დაგდება.
ო, ალუბლების ყვავილებო,
დაჰფარეთ მიწა,
დაჰფარეთ ისე, რომ ვერ შესძლოს მან გზის გაგება.

ონონ-ნონ საკადი

* * *

თუ სატახტოში ერთი წუთით დაინტერესდნენ,
აქ როგორ ვცხოვრობ — და შემთხვევით გკითხონ სრულიად,
შენ უპასუხე:
„როგორც მთები ნისლში მცურავენი,
ისევე გული, ჩემი გულიც დანისლულია“.



ძიოსო

* * *

მთაცა და ბარიც —
მოიპარა თოვლმა ყოველი...
უცებ დამკვიდრდა სიცარიელე.

რიოტა

* * *

მთვარე ვერცხლით არემარეს აესებს...
როცა ქვეყნად ხელმეორედ მოვალ,
ნეტავ ფიჭვად ამოვიდე მთაზე.

ტანირო

* * *

წმინდა და ცივი წყარო რაკრაკა.
ფსკერზე ბრწყინავენ უზალთუნები,
უზალთუნები მგზავრმა დაჰკარგა.

კიო რაი

პატარა დის გარდაცვალების გამო

ვაგლახ, რომ ხელში,
შეუმჩნევლად, შექმილული —
გამიქრა ჩემი ციციანათელა...



კიკასკუ

* * *

რატომ განდევნე
სიზმრად ჩემთან მოსული დედა,
გუგულო, შენი „კაფე-თესეთი?“

კეკუსუი

* * *

მწუხრია და შემოდგომის წვიმაა!
მეზობლისკენ — არა, ჩემსკენ კი არა,
ქოლგამ გაიშრიალა...

ოტომო ტაპიტო

* * *

აპა, დადგა დრო
შინ დაბრუნების...
მაგრამ შორეულ სატახტოში
ვისი მკლავები
მელის, ნეტავ, სურნელოვან თავსასთუმალად?

* * *

იმ ბაღში, ერთ დროს
მე და სატრფომ
რომ ავაშენეთ საკუთარ ხელით,
ო, როგორ მაღლა
ატოტილან ლამაზი ხენი!



ტიონი

* * *

წყაროს სარკეში მთელი დღე,
თავის ლანდს დასდევს ჭრიჭინა
და მაინც ვერ დაიჭირა.

პატარა ვაჟის გარდაცვალების გამო

ჭრიჭინების მღევარო ჩემო!
იმ უხილავ ქვეყანაში საით,
ნეტავ საით გაიქეცი ახლა?

გომეი

* * *

აქეთ-იქით ეხლებიან,
აწ გარდასულ გაზაფხულს რომ დაეძებენ,
პეპლებია...

ისსა

* * *

მე წამოვწევი ჩრდილში,
ჩემს ნაცვლად ჩემს ბრინჯს ეხლა
მთის ნაკადული ცეხვავს.

* * *

რა სევდით უცქერს
ტყვექმნილი ჩიტი
პეპლების ფრენას.